

ტარას აზიანიძე (1889 – 1969)

ტარას აზიანიძე დაიბადა 1889 წ. ქუთაისში მეწარმისა და მეცენატის სარდიონ აზიანიძის მრავალშვილიან ოჯახში. ქ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1908 წ.) სწავლას აგრძელებს ქ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე ფიზიკა-მათემატიკის განხრით და კიევის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1913 წ.) ის ბრუნდება ქ. ქუთაისში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1925 წ. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქუთაისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, რომლის ბაზაზეც მოგვიანებით დაარსდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი – ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი. იმავე პერიოდში მისივე ინიციატივით საქართველოში პირველად ფუნქციონირებას იწყებს რენტგენის აპარატი ქუთაისში.

1930 წლიდან ტარას აზიანიძე გადმოდის თბილისში, სადაც აგრძელებს პედაგოგიურ და საზოგადო-სამეცნიერო მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს ის იყო ალ. პუშკინის სახ. პედაგოგიური და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგე; საავიაციო და ინდუსტრიული ტექნიკუმების დირექტორი; მისი ინიციატივით გაიხსნა ფიზიკის კაბინეტი მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში და დაფუძნდა მოსწავლეთა ფიზიკის ოლიმპიადები.

განსაკუთრებით საყურადღებოა ბატონი ტარასის სამეცნიერო მოღვაწეობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მისი ორი ნაშრომი: „ნიუტონის კანონების კრიტიკა და კეპლერის ელიფსის აგება“ და „ეინშტეინის ფარდობითობის სპეციალური და ზოგადი თეორიის შესახებ“, სადაც იგი ამტკიცებს სამყაროს ნიუტონისეული და აინშტაინისეული მიდგომის მცდარობას. ამ საკითხების შესწავლას მან მოანდომა თითქმის მთელი ცხოვრება (1934-1969 წწ.), მაგრამ მის სიცოცხლეში პრაქტიკულად ვერ მოხერხდა მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის გამოქვეყნება.

ამდენი წლის შემდეგ, მხოლოდ ახლა, მისი ნათესავების ძალისხმევით მოხერხდა ამ ნაშრომების გამოქვეყნება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. სპეციალისტების აზრით მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა.